

არასოდეს მოგიტხოვიათ საჯარო ინფორმაცია, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ კანონის შესაბამისად, ახლა დადგა დრო, რომ გამოიყენოთ ეს უფლება და შემდეგ დაწეროთ, თუ რა მოხდა.

თუ თქვენ ხართ ინფორმაციის თავისუფლების კომისარი (ომბუდსმენი)...

ლონისძიებათა მონყობითა და პრესრელიზის გამოცემით საჯაროდ აღნიშნეთ ინფორმაციის თავისუფლების დღე; მოაწყვეთ კონკურსი, რომელიც პოპულარიზაციას გაუნეშავს გამჭვირვალობას, მაგალითად, გამოავლენს მთავრობის საუკეთესო ვებ-გვერდს ან უწყებას, რომელიც საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნაზე ყველაზე სწრაფად ახდენს რეაგირებას; გამოაქვეყნეთ საჯარო ინფორმაციის გაცემის მაგალითები, რამაც ხელი შეუწყოს საზოგადოებასა და მთავრობას შორის ურთიერთობის გაუმჯობესებას; გაუგზავნეთ შეტყობინება სახელმწიფო დაწესებულებებს და შეახსენეთ, რომ 28 სექტემბერი არის ინფორმაციის თავისუფლების საერთაშორისო დღე, ამასთან, ხაზი გაუსვით იმას, რომ გამჭვირვალობა სულაც არ არის საშიში, რადგანაც ყველგან ასე ხდება.

თუ თქვენ ხართ სახელმწიფო მოხელე ან არჩევითი თანამდებობის პირი...

დაუსვით საკუთარ თავს შეკითხვა, რას აკეთებთ იმისათვის, რომ მთავრობა იყოს გამჭვირვალე. გაარკვიეთ, რას აკეთებს ის სახელმწიფო უწყება, სადაც თქვენ მუშაობთ, რათა მისი საქმიანობა უფრო გამჭვირვალე გახდეს; იფიქრეთ იმაზე, თუ როგორ შეიძლება, უკეთესად დაამუშაოთ ინფორმაცია, რათა ის უფრო მარტივად ხელმისაწვდომი იყოს საზოგადოების წევრებისათვის; განათავსეთ მეტი ინფორმაცია თქვენს ვებ-გვერდზე, რომ საზოგადოებას უკეთესი წარმოდგენა შეექმნას თქვენი საქმიანობის შესახებ; და თუ თქვენს ქვეყანაში მოქმედებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ კანონი, ესაუბრეთ ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირებს იმის თაობაზე, თუ რა შეიძლება გაკეთდეს, რომ თქვენმა უწყებამ განცხადებებზე პასუხების გაცემა კანონით დადგენილ ვადებში მოახდინოს.

თუ თქვენ ჯერ კიდევ არ იცით, რა გააკეთოთ...

ენვეით ინფორმაციის თავისუფლების დაცვის ქსელის ვებ-გვერდს, რათა უფრო მეტი ინფორმაცია მიიღოთ იმის შესახებ, თუ რას აკეთებენ ქსელის წევრები და რა შეგიძლიათ გააკეთოთ თქვენ. ჩვენ შეგვიძლია, დაგაკავშიროთ ადგილობრივ ორგანიზაციებთან, რომლებიც მუშაობენ ინფორმაციის თავისუფლების საკითხებზე თქვენს ქვეყანაში; ასევე, გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ თქვენ მიერ მომზადებული ანგარიშები და ამონარიდები პრესიდან იმისათვის, რათა ინფორმაციის თავისუფლების დღის რუქა ამ წელს უფრო მრავალფეროვანი გახდეს!

გმადლობთ!

www.foiadvocates.net
www.RightToKnowDay.net



ინფორმაციის თავისუფლების საერთაშორისო დღე, ინფორმაციის თავისუფლების დაცვის გლობალური ქსელის შექმნის აღსანიშნავად, 2002 წლის 28 სექტემბერს დაარსდა. 2007 წელს ინფორმაციის თავისუფლების საერთაშორისო დღე მეხუთედ აღინიშნება.

ინფორმაციის თავისუფლების საერთაშორისო დღე მიზნად ისახავს თითოეული ადამიანის ცნობიერების ამაღლებას საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა უფლება, იცოდეთ, თუ როგორ ახორციელებენ არჩევითი თანამდებობის პირები თავიანთ უფლებამოსილებას, როგორ იხარჯება გადასახადის გადამხდელთა ფული და ა.შ.

ლონისძიებაჟი დადამინის გარშემო

2006 წელს მსოფლიოს ორმოცზე მეტი ქვეყნის სამოცამდე საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ ინფორმაციის თავისუფლების საერთაშორისო დღე სხვადასხვა ხასიათის ღონისძიებებით აღნიშნა, მათ შორის იყო:

- ერთდღიანი კონფერენცია ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებით მიმდინარე გამონვევებზე.
- არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ანგარიშების გამოცემა გამჭვირვალე მთავრობის სხვადასხვა ასპექტზე, დაწყებული გასაიდუმლოების პოლიტიკითა და დასრულებული პოლიტიკური კონტრიბუციებით.
- დაჯილდოების პრეზენტაცია, სადაც წარმოდგენილი იყო:
 - ჯილდო საჯარო ინფორმაციის მინოდების თვალსაზრისით საუკეთესო სისტემის მქონე დაწესებულებისათვის;
 - ჯილდო ვებ-გვერდისათვის, რომელიც ყველაზე მეტად პასუხობს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;
 - ჯილდო მედიის წარმომადგენლისათვის, რომელიც პუბლიკაციებისა თუ გადაცემების მომზადებისას ყველაზე ხშირად მიმართავს სახელმწიფო ორგანოებს ინფორმაციის მოთხოვნით;

- ჯილდო საუკეთესო სტატიის/გადაცემისათვის, რომელიც ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონის საფუძველზე გამოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გამოყენებით მომზადდა;
- ჯილდო არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის, რომლებსაც ყველაზე დიდი ღვაწლი მიუძღვით საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ კანონის დანერგვასა და დაცვაში;
- ჯილდო იმ მოქალაქისათვის, რომელმაც ეფექტურად გამოიყენა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება;
- უარყოფითი ხასიათის ჯილდოები იმ დანესებულებისათვის, რომელიც არ ასრულებს ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონით დაკისრებულ ვალდებულებებს.



ბულგარეთის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პროგრამის (AIP) მიერ დანესებული ჯილდო ყველაზე დახურული საჯარო დანესებულებისათვის


4. საჯარო დისკუსიები სახელმწიფო მოხელეებსა და ჟურნალისტებს/არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის;
5. ბოლო წლებში მომხდარი ისეთი საინტერესო ახალი ამბების შერჩევა და გავრცელება, რომლებიც ემყარებოდა ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონის საფუძველზე გაცემულ ინფორმაციას;
6. ინფორმაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით საჯარო დანესებულებებიდან მიღებული ყველაზე უგუნური უარის შერჩევა და გავრცელება;
7. ინფორმაციის მოძიებასთან დაკავშირებით საზოგადოებისთვის განეული დახმარების ყველაზე თვალსაჩინო მაგალითების წარმოჩენა და გავრცელება;
8. იმ სახელმწიფო მოხელეთა და საჯარო პირთა "შავი სიის" შექმნა და გამოქვეყნება, რომლებმაც შელახეს და დაარღვიეს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება;
9. ინფორმაციის თავისუფლების დევიზის შემცველი პოსტერების, ბანერების, ბარათების, ბროშურებისა და პამფლეტების დაბეჭდვა-გავრცელება.

ინფორმაციის თავისუფლების დაცვის ქსელის მიერ ინფორმაციის თავისუფლების დღისადმი მიძღვნილი საქმიანობის ამსახველი მასალები შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.foiadvocates.net.

რა შეგიძლიათ გააკეთოთ თქვენ?

თუ თქვენ წარმოადგენთ არასამთავრობო/საზოგადოებრივ ორგანიზაციას...

მოაწყვეთ ღონისძიება, დებატები, დაჯილდოების ცერემონია; დაწერეთ პრეს-რელიზი; მოაწყვეთ დისკუსია ადგილობრივ სათემო ორგანიზაციებთან ან ადგილობრივ სკოლაში; დაბეჭდეთ პოსტერები და წარწერებიანი მაისურები და დაარიგეთ ისინი ქუჩებში; ჩართეთ ამ ღონისძიებაში მოსახლეობა და, რაც ყველაზე აუცილებელია, წაახალისეთ, რომ, ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადებათა წარდგენის გზით, ისარგებლონ თავიანთი უფლებებით.



პოსტერი, რომელიც დაიბეჭდა კოსოვოში 2003 წელს, როდესაც იქ პირველად აღინიშნა ინფორმაციის თავისუფლების საერთაშორისო დღე

თუ თქვენ ხართ კერძო პირი...

მოითხოვეთ ინფორმაცია, მისწერეთ წერილი ადგილობრივ გაზეთს, სთხოვეთ თქვენს ადგილობრივ მუნიციპალიტეტს, განათავსონ მუნიციპალიტეტის შენობაში განცხადებები ინფორმაციის თავისუფლების უფლების შესახებ, ან დადონ ინფორმაცია ვებ-გვერდზე; მისწერეთ თქვენს საკრებულოს ან პარლამენტის წევრს და ჰკითხეთ, თუ რას აკეთებენ ისინი ხელისუფლების გამჭვირვალობის ხელშეწყობისათვის.

თუ თქვენ ხართ მასწავლებელი ან მოსწავლე...

ესაუბრეთ მოსწავლეებს ინფორმაციის თავისუფლებისა და გამჭვირვალე მთავრობის მნიშვნელობის შესახებ; მოიფიქრეთ განცხადებები, რომლებიც შეგიძლიათ გაუგზავნოთ ადგილობრივ ხელისუფლებას ან სახელმწიფო ორგანოს, როგორცაა, მაგალითად, განათლების სამინისტრო; განსაზღვრეთ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხი, რომელზეც გასურთ, რომ უფრო მეტი იცოდეთ, როგორცაა ინფორმაცია სასმელი წყლის ხარისხის ან ადგილობრივი სპორტული ცენტრის ბიუჯეტის შესახებ და შეიტანეთ განცხადებები საჯარო დანესებულებებში ინფორმაციის მოთხოვნით!

თუ თქვენ ხართ ბიბლიოთეკარი ან ქმნით ფორუმს ინტერნეტში...

თქვენ უკვე გესმით ინფორმაციის ფასი, ასე რომ, მიაწოდეთ ინფორმაცია თქვენს წევრებსა და მკითხველებს ინფორმაციის თავისუფლების დღის შესახებ!

თუ თქვენ ხართ ჟურნალისტი...

დაწერეთ სტატია ინფორმაციის თავისუფლების საერთაშორისო დღის ან/და ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გამჭვირვალობის შესახებ. თუ თქვენ